

რედაქცია

გადაიხიოს პრინციპული, ავ. მუხრანის ხელე-  
ბი კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თულისში, დროებას, ივერიის რედაქცია-  
ში, ქუთაისში, დროებას, ივერიის რედაქციაში, ქუთაისში,  
თან სილაზე. გასული მთხზაბათისთვის. В Тифлисе,  
въ редакцію „Крѣпость“ „Иверія“.

„დროება“-ივერიის უახლესი

წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს

დროებას და ივერიას ერთად 14 მან. . . 8 მ. . . 5 მ.  
დროებას . . . . . 9 მან. . . 5 მ. . . 3 მ.  
კლუბს „ივერიას“ . . . . . 7 მან. . . 4 მ. . . 2 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-ღე მრვაბათს გარდა

შანი განცხადებინა

დიდი ახლებით ახლანდელ ქვეყანაში, ქვეყნის  
საქმეებით ახლანდელ ნახევარ-კაცს, ქვეყნის განვითარებას  
ახლანდელ მეოთხედი კაცს.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია განაწარმებს  
და შეამოკლებს დანაშაულებს გამოცხადებულ წერილებს. და  
უბეჭდელ წერილებს რედაქცია უფლებათ ვერ დაუბრუნებს  
ვეტლანს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ  
ენებზედ.  
ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებას“ „ივერიას“  
აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებას“ ღირს 5კაპ.

ხარამობის დღესასწაულის გა-  
მოდ, ხვალ, ხუთშაბათს, გაზეთი არ  
გამოვა.

ცალკე ნომრები

## „დროებას“

თფილისში ისე იდგება: შვედრდვის  
გაზეთის სააგენტოში, ახნაუროვის  
თამბაქოს მაღაზიაში, ბრიტანოვის  
წიგნის მაღაზიაში, არუთინოვის მა-  
ღაზიაში (ბუკის ხიდს გაღმა, მარან-  
ცოვის ძეგლის პირ-და-პირ), შუა ბაზ-  
რის თემში (ახ. ჯუღაძის სახლებ-  
ში კანდიტერის მაღაზიაში) და თფი-  
სთან რედაქციაში (პროსპექტზე) თფი-  
სი. მუხრანის სახლებში).

ქუთაისში ივ. ნიკოლაძის და შვი-  
ლების მოდის მაღაზიაში და ბერარ-  
დის წიგნის მაღაზიაში.

ამას გარდა შოთი-თფილისის რკი-  
ნის გზის ეაგონებში კანდუქტორებ-  
თან.

## ტელეგრაფები

კაბერბუდი, 23 მარტს. ქალაქ-მთა-  
განას რეკვის 25 კაცი გამოეცხდა  
დღეს სეპარაჟი იმპერატორს. რე-  
გამ დაჩქარებულ იზგონებებს ტაქ-  
ცია.

აზიანას და ჩინეთს შუა განხეთ-  
ქილება ჩამოვარდა.

რომის ხაზმა ინახულა რუსეთის  
დანდობიანი ჰინი და გამოეცხდა  
იმათ, რომ რუსეთს და გატაკანს  
შუა მალე სრული თანხმობა ჩამო-  
გარდება.

### კაბერბუდის ბირჟა, 23 მარტს.

(„სახლთა-მართის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემისა	96-50
მეორეისი	93-37
მესამესი	93-87
მეოთხესი	93-25
აღმოსავლეთის პირველი	92-50
აღმოსავლეთის მეორე	92-62
აღმოსავლეთის მესამე	92-62
მ. ქრო, 1/2 იმპერიალი	7-93

თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გი-  
რაოს ფურცელი — — —

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

პირველი სესხის	224-55
მეორე სესხის	217-5

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	24-75 პენსი
ბამბურლი	211- — ცენტი
პარიჟი	261-75 სანტიმი
ვენა	129-50 ჰფენიგი
სავსაისი კერასინი	— —

ტფილისი, 24 მარტს.

მართალია, ბევრი ხანი არ გასულა  
მას აქეთ, რაც მთელს რუსეთის სა-  
ხელმწიფოს მოველინა საშინელი  
უბედურება და წაერთვა მას ძვირფა-  
სი, დაუფიქარი ხელმწიფე იმპერატო-  
რი; ჯერ არ დამშვიდდებულა აღელ-  
ვებული გრძობა ხალხისა, რომელიც  
მოჰყვა ამ უბედურებას; ჯერ არ და-  
ლაგებულა ის უშველებელი ალია-  
ქათი, რომელიც დაერთვა წყევლას  
და შეჩვენებას, ბოროტ-მოქმედთაღმი  
მიმართულს.

ამის გამო დამჯდარი სჯა და ბაა-  
სი იმ უბედურ მოვლინებაზედ, რომ-  
ელიც მოხდა პირველ მარტს ჯერ-  
ჯერობით ძნელია და თითქმის შეუ-  
ძლებელიც.

მართალია ყველა ეს, მაგრამ არც  
ის არის ტყუილი, რომ დროთა  
ბრუნვა და სცხოვრების შეუწყვეტე-  
ლი დენა თავისის მოითხოვს. მას  
აქეს თვისი მოთხოვნილებანი, რომ-  
ელიც ავად თუ კარგად უსათუოდ  
უნდა იყენნ დაკმაყოფილებულნი.

შეხედვება, რასაკვირველია, დიდი  
და საშინელი, გულის აღმაშფოთვე-  
ლი და შემადრწუნებელი. ამის თაო-  
ბაზედ არავის გულში არავითარი ექ-  
ვი არ არსებობს. მაგრამ ეს უბედუ-  
რება ეკუთვნის აგრეთვე იმ გვარ  
მოვლინებას, რომელსაც ამ უკანას-  
კნელს დროს არა-ერთხელ ამოუყვია  
თავი და შეუძლია ჩვეულებრივი დე-  
ნა საზოგადოებრივის ცხოვრებისა. ამ  
მოვლინებასაც უნდა ჰქონდეს თა-  
ვისი დასაბამი, თავისი მიზე-  
ზი და უნდა იქმნეს მონახუ-  
ლი საშეაღებად მის მოსასობლად.  
პი. ამ გარემოებაზედ არის ამტყდარი  
ამ ჟამად გაცხარებული ბაასი რუსის  
ჟურნალ-გაზეთებში, რომელთა შო-  
რის არსებობს უმთავრესად ორ გვარი  
მიმართულს:

ზოგნი ამბობენ, რომ ზემოხსენე-  
ბულის ბოროტ-მოქმედობის მოსას-  
პობლად მხოლოდ ერთი საშეაღება  
არის შესაძლებელი: ცხოვრებას  
ცოტა შეღავათი უნდა მიეცეს; სა-  
საზოგადოებას და ხალხს ცოტადენი  
მაინც თავისუფლება უნდა მიენიჭო-  
ს; პასუხის გამოცემანი ქვეყნის წი-  
ნაზე თვითონ პირ-და-პირნი მმართვე-  
ლნი უნდა იყენნონ და სახელმწი-  
ფოს მოთავე. მართის სიტყვით, და-  
გუბულ ცხ ერებას ცოტადენი ფარ-  
თო გზა უნდა მიეცეს, ხმა გაკმენ-  
დილ საზოგადოებას პირი უნდა გაჩხ-  
ნასო, და ბოროტ-მოქმედებანი მა-  
შინ თავის-თავად განქრებინაო. უკა-  
ნასკნელ დროს აღშფოთებულ საზო-

გადობის დაწყება მარტო ამ გზით  
შეიძლება. ამიტომ იმ გზას,  
რომელსაც დაადგა რუსეთის მთა-  
ერობა, ლორის-მელიქოვის თაო-  
ნობით, არამც თუ არ უნდა  
ავცილდეთო, არამედ უფრო მტკი-  
ცედ და ბეჯითად უნდა ვადგეთო და  
ყოველ გვარ ყოყმანობას თავი უნდა  
დაეანებოთო.

მეორე მიმართულების მიმდევარი  
სრულიად სხვას ქადაგობენ. მათ  
ცეცხლი და ნათი გასდით პირიად.  
მშვიდობიანი გზა რას მიქვიანო! თფი-  
სთან მიმართულთაც ნიგილისტების  
შხამი აქეთ ხორცი და ძვალში გამ-  
ჯდარია; სუყველანი გასაწყვეტნი  
არაიანო! რაც უფრო სასტიკი ზომიე-  
რებანი იქნებიან ხმარებულნი, ის  
უფრო უკეთესი იქნებაო. მხლა ვე-  
ლარაგის ვერ ვენდობითო. მართის  
სიტყვით, ბრძოლა, შეუბრალებელი  
ბრძოლა ყველასთან, რაც კი ცოტა-  
ოდენად მოგავს თავისუფლებას, მშვი-  
დობიანობას, ცხოვრების წარმატებას.  
პეტერბურლი მოწამლულიაო, ხელ-  
მწიფის ტახტი ისეც მოსკოვში უნდა  
იქმნეს გადატანილიო.

ჯერ-ჯერობით ამ გვარი სჯა და  
ბაასია ატენილი რუსეთში. რა გვარ  
პოლიტიკას დაადგება რუსეთი ღმერთმა  
უწყის.

### ხელმწიფის მიცვალების ანგარი.

თუ რა დიდი გავლენა იქონია სა-  
ზოგადოთ პირველი მარტის შემთხვე-  
ვამ, შეიძლება აქედამაც დაინახოს  
კაცმა: ერთ კარგათ შეძლებულ კაცს,  
მამულიანს, გვარად მრლოვს, ქ-  
სმელში მცხოვრებს, ვეღარ გარდუ-  
ტანია ეს უბედურება, გარდაყოლია  
ჯავრს და დაუხრჩვია თავი. მის და-  
ტოვებულ ბარათში სწერია შემდეგი:  
„ამ გვარ ბოროტ-მოქმედების შემდეგ,  
ქვეყნიერება შემძაგდა... აღარ ღირს  
ცხოვრება!“

— რუსეთის მმართველობის ფრან-  
კულური ოფიციალური გაზ. „Agen-  
ce Russe“ შემდეგ ცნობებს იწერება  
სოფიო პეროვსკის ქალზედ, რომე-  
ლიც სცხოვრებდა ბარტმანთან და  
შელიაბოვთან და ხელს უმართავდა  
რისაკოვს. მამა ამ ქალისა—პატიე-  
საცემი კაცია, რომელსაც სამახურში  
უჭირავს კარგა მაღალი ხარისხი. მხ-  
ლა ამ შემთხვევამ იმ გვარ სასო-  
წარკვეთილებაში ჩააგდო ეს კაცი,  
რომ ლამის ჰკუდიდამ შესცდეს. სო-  
ფიო პეროვსკისას მიუღია კარგი ვა-  
ნათლება და ვინ იფიქრებდა, თუ ის  
ამ გვარ გზას დაადგებოდა. მერაა,

ლამაზი და არც თავის მიხერა-მოხერით,  
არც ჩაცმულობით არ წააგავს საზო-  
გადო ტიპებს რევოლიუციონერებისა.  
მაგრამ ეს რამოდენიმე წელიწადია,  
რაც ის მხურვალე მონაწილეობას  
იღებს ყოველ გვარ შეთქმულებაში  
და ანარხისტების მოქმედებაში.


— პეტერბურლის ქალაქის ტენიკი  
დენერ. მროვინსკი პატარა ბალის ქუ-  
ჩაზე პობოზევის დუქნის რიგინად  
გაუჩხრეკლობისათვის, გაზ. „პორია-  
დოკის“ სიტყვით, მოუთმენლად მოე-  
ლის გამოძიებას. პოლიციის მიწერი-  
ლობაში, როგორც ამბობს თურმე  
დენ. მროვინსკი, იყო ნათქვამი, რომ  
ამ დუქანში ნოტიობა არისო და  
სვეტებს უნდა მხოლოდ დახედვაო.  
და იმაზედ კი—თუ ამ დუქანში სა-  
ცქვო პირები იყო, მოწერილობაში  
არა იყო-რა ნათქვამიო.

— შრანკუზ. Journal des Debats-ს  
მოჰყავს შემდეგი სიტყვები ერთი თა-  
ვის თანამშრომლის მიცვალებულ იმე-  
რატორ პლექსანდრე მეორეზედ:

„შვიდი წელიწადი იქნება მასუკან,  
ჰოლანდიის კაროლი მილჰელმ II  
დღესასწაულობდა ამსტერდამში თა-  
ვის 25 წლის მეფობას. ბამოცხადე-  
ბული იყო, რომ ამ დღეს რუსეთის  
იმპერატორიც მოვა ამსტერდამშიო.  
მეც გავყევი იმ აუარებელ ხალხს,  
რომელიც მიემურებოდა ამსტერდამ-  
ში, შეგვეხედა იმ იმპერატორისათვის,  
რომელმაც განათავისუფლა ოც-და-  
ხუთი მილიონი მონა. მაგრამ კინა-  
ლამ ფუჭად გამოიარა ჩემმა მოგზაე-  
რობამ: მოვიდა თუ არა იმპერატორი  
ამსტერდამში, გავარდა ხმა, რომ მის  
მოსაკლავათ შეთქმულება არისო და  
მიიღეს სასტიკი ზომები მისის სიცო-  
ცხლის დასაფარავათ. აუარებელი  
ხალხი მოელოდებოდა ერთ უმთავ-  
რეს ქუჩაზედ, რომელზედაც უნდა  
გამოეარა მას, მაგრამ სულ სხვა ქუ-  
ჩით მიიყვანეს სასახლეში. მე კი მოე-  
კარი თვალი და ისეც ლანდათ, რად-  
გან საოცარის სისწრაფით მიაქანებდენ  
და უკან რამდენიმე ყარაული მის-  
დევდა ხმალი-ამოღებული.

„სამი დღე გავრძელებდა დღეობა და  
ასე გაფრთხილებით იყენენ. იმპერა-  
ტორი ყოველთვის დაუნიშნავ დროს  
გამოდისო და თან რამდენიმე მხლებ-  
ლები მოსდევდენ.“

„შეგრ ამ გვარ ბოროტ-განზრახულ  
შეთქმულობას გადაჩენია რუსეთის  
იმპერატორი და ამბობენ, ბოლოს  
დიდ ყურადღებას აღარ აქცევდა სხვა  
და სხვა გაფრთხილებებს და სჯერო-  
და, რომ თვით ზეცა იფარავს იმის  
სიცოცხლეს. მართ დღეს, სასახლის



წინ დიდ-ძალი ხალხი შეიკრიბა და შექმნეს ერთი ურას ძახილი. ძარბალი და რუსეთის იმპერატორი გამობრძანდნენ ბალკონზედ ხელ-ჩაკიდებული. ხალხის აღტაცებას აღარ ჰქონდა სამზღვარი. რუსეთის იმპერატორი მოუბრუნდა ძარბოს და უთხრა:

„—**თქვენო უდიდებულესობაე,** სწორეთ ბედნიერი უნდა იყოთ, რომ ამისთანა ხალხი გყავთ.“

„**ჰოლანდიის** კაროლს, გარდა კონსტიტუციის ერთგულებისა, არა გაუკეთებია-რა და შეეძლო თავისუფლათ სერიზობა მარტო-მარტო ქუჩებში, შეეძლო ესარგებლნა სრული თავისუფლებათ უბრალო მოქალაქისა, რუსეთის აღმადგენელს, ხელმწიფეს კი, განმანათლებელს თავის ქვემეგრდომებისა, რომელთ უმეტესი ნაწილი თავყანს სცემდა მას, ამ ხელმწიფეს არ შეეძლო უცხო ქვეყანაშიაუც კი ხელმწიფობა დაევიწყებინა და მუდამ სიკვდილის უნდა ჰმინებოდა.“

**ახალი ამბები.**

მუშინწინ ორშაბათ დილით, მრგენის მაგდანზედ, **თამაშოვის** კარვასლის ქვემო ეტაჟში ნახეს თავ-გატეხილი შვედარი კაცი. როგორც შეხედულობით შეეცაობოდა ვიღაც ღარიბი სომეხთაგანი უნდა ყოფილიყო. ამბობენ, მთვრალი ყოფილია, ქვის მთაჯირზედ დასაძინებოდა და ძილში, აღზად, ძირს გადავიარდნილია.

ეს შემთხვევა მით უფრო გასაკვირვი და ყურადღების ღირსია, რომ პოლიციის ცხვირის წინ მოხდა და მარვასლასთან მუდამ დღე-ღამე დატრიალობენ პოლიციის მოხელეები...

სოხუმის პოლიციის გამოცობა აცხადებს, რომ ვისაც ამ ქალაქში ადგილ-მამული აქვს და ჯერაც არ წარუდგენიათ თავიანთ კუთვნილობის საბუთები, რაც შეიძლება მალე წარადგინონ პოლიციაში; თუ ამ წლის 1 ნოემბრამდინ არ წარადგინეს ამგვარი საბუთები, იმ შემთხვევაში უპატრონო მამულები ქალაქის საკუთრებად ჩაითვლებოდა.

ამბობენ, რომ **თფილისის** საქალეზო ინსტიტუტის შენობა დაზიანებულია, კედლები დიშლილია, და ამის გამო ორს კლასში სწავლა კიდევ შეუჩერებიათ, რადგან სამიშოთ დაუნახეთ ამ კლასებში ქალების ყოფნა. თუ ეს ხმა მართალია, აუცილებელად საქირაა, რომ, არათუ მარტო იმ ორ კლასში, არამედ მთელს ინსტიტუტში ახლავე მოისპოს სწავლა და სანამ საფუძელიანად შეაკეთებენ ამ შენობას, მანამ სხვაგან სადმე იზოვონ ინსტიტუტისათვის სადგომი.

შავილი კვირას იყო საზოგადოება **თფილისის** ერთი-ერთ ნდობი.

(კრედიტის) საზოგადოებისა (ბანკისა). ძრებაზედ ხანგრძლივის ბაასის შემდეგ, მიიღეს და დაამტკიცეს შარშანდელი წლის ბანკის შემოსავალ-გასავლის ანგარიში. ზოგიერთი სხვა საგნები, რომელზედაც იმ დღეს მოლაპარაკება ვერ მოასწრეს, შემდეგ კვირამდინ გადადგეს განსახილავად და გარდასაწყვეტად.

ძვეკასიის სახელმწიფო ძონებთა მამგობასთან დაწესებული ძომიტეტი უცხადეს იმ პირთ, რომელთაც განზახნა აქეთ მოსკოვის ხელოვნებით ნაწარმოების გამოფენაზედ გაგზავნონ რემე, ჯერ ნუ გაგზავნიანო ნურც მოსკოვში და ნუ გამოგზავნიან ნურც კომიტეტშიო, რადგან, შმალღესის ბრძინებით, ხსენებული გამოფენა მოგვალ 1882 წლამდინ გადიდებოდა. ძომიტეტი ვაზეთებში ვამოცხადებს როდესაც ვახისნება ვამოფენა და როგორ და სად ვაგზავნება ვამოსაფენი საგნები.

ღუშეთიდან გვწერენ, რომ საზოგადოთ მთელს საქართველოში მიცვალებულის დასაფლავებაზე ყოველთვის დიდი ხარჯი აქეთ კირისუფლებსო, მაგრამ იმდენი ხარჯი, რამდენიც ჩვენს უზღში იციან, არსად ვაგონილაო. მრთისა და ორის დღის ხარჯს როდი სჯერდებიან, მთელის წლის განმავლობაში მუდამ კვირაობით მოდიან კირისუფლებთან ვეთომ-გულ-შემატკივარნი და ამნაირად მიცვალებული-საგან ურმისოთაც დაზიანებული ოჯახნი ხანდისხან სრულებით ღარიბდება, იღუპება ამ მომეტებულის ხარჯის წყალობითაო.

ჩვენ ვეითხრეს, რომ **ნ. დ. ჰაე** ქავაძის მამულში, სოფ. საყარაულთოში, გზის ვაკეთების დროს ერთს ხევსურს უპოვნია ერთი ქილა ძველისძველი ფული და მიუყიდნია ერთი ბერძნისათვის, რომელიც იმავე გზაზედ მუშაობდა. ამბობენ, ნაპოვნი ფული ოქროსიაო. ძარგი იქნება, რომ ეს ფული ვამოართვან და არხელოვარეურ საზოგადოებას წარმოუდგინონ.

**განათლების გდგომარეობა საქართველოში.**

გაზეთის **გაღმასის** მე-58 ნომერში დაბეჭდილია შემდეგი, **თფილისის** დამ გაგზავნილი და ჩვენთვის საინტერესო, კარრესპონდენცია:

ძვეკასიის მანრის სამოსწავლო მზრუნველის 1879 წლის ანგარიში გეხატავა მეტად სამწუხარო სურათს სწავლა-განათლების მდგომარეობისა საქართველოში. „912,962 სულს ქართველებში, ვკითხულობთ ანგარიშში, არის 167 სასწავლებელი, ანუ ერთი სასწავლებელი 5,460 სულზედ; 706,887 სულს სომეხთ აქეთ 256 სასწავლებელი—2,760 სულზედ. მახლათ ვაჩვენებს, აგრძელებს მზრუნველი, რომ ქართველების სურვილი პირველ დაწყებთი სწავლის მიღებისა ორჯელ ნაკლებათ კმაყოფილდება, სანამ სომეხებისა.“

ველი, რომ ქართველების სურვილი პირველ დაწყებთი სწავლის მიღებისა ორჯელ ნაკლებათ კმაყოფილდება, სანამ სომეხებისა.“

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. რომ ნათლად და გარკვევით წარმოვიდგინოთ სრული სურათი ამ სამწუხარო მოვლინებისა, საქირაა შევიტყოთ ძვეკასიის სანამესტნიკოს სხვა-და-სხვა ტომთა რამდენ-რამდენი მოწაფე ჰყავს პირველ-დაწყებით სკოლებში... ამას გვაუწყებს მოხსენებული ანგარიშივე: რუსებსა და ვეროპიელებს გარდა მრთელს ძვეკასიურს პირველ-დაწყებით სკოლებში სწავლობს 67,694 შევირდი; მათ შორის ასს მოწაფეში ურევია: ჩვიდმეტეტი სომეხი, ცხრამეტეტი თათარი, თოთხმეტეტი მთიული და ცხრა ქართველი.“

ამ ნაირად, ვამოდის, რომ ქართველები პირველ-დაწყებით სწავლის მიღებაში უკან ჩამორჩობიან არა თუ სომეხთ და თათრებს, არამედ თითქმის ველურ მთიულებსაც კი, რომელთაც თავიანთ საკუთარი ლიტერატურის ღოლოც კი არ ღირებიათ ჯერა.

ხვრული შეცდომა იქნებოდა, ჩვენ რომ ამის მიზეზის ძებნა საქართველოს წარსულის ისტორიაში დაუწყოთ. წინააღმდეგ ამისა, მრავალი საბუთები ცხლათ ვაჩვენებენ, რომ იმ წარსულში სწავლა-განათლების საქმე საქართველოში კარგა მალალ ხარისხზედ იდგა, ასე ვაშინჯეთ იმ დროსაც კი, როდესაც საქართველოს ხალხს ათასი საშინელი უბედურება ადგაკარებზედ. სხვათა შორის აეტორი უკანასკნელი მეფის ბიორგის XII ცხოვრებისა მოგვითხრობს, რომ **თფილისში**, ძესამე წელს ალა-მამადაზნისაგან აკლებს შემდეგ, როდესაც ვაქყიეტილ იქმნა ორი წილი ქალაქის მცხოვრებთა, სწავლობდა 400-ზედ მეტი ყმაწვილი.

აქედამ ცხადია, თუ რა დიდი იქნებოდა მოსწავლეთა რიცხვი მშენილობიანობის და მოსვენების დროსა.

შარშან დაბეჭდილი საეკლესიო გუჯრები დაბეჭვითით ამტკიცებენ იმ ფაქტის საფუძელიანობას, რომელიც ამ გუჯრებზედ წინათაც იცოდნენ მათ, ვისაც დაახლოვებით შეესწავლა საქართველოს წარსული. შაქტი მდგომარეობს მასში, რომ ყოველი ეპისკოპოსი თვის კურთხევის დროს ქათოლიკოზს აძლევდა აღთქმას — ყოველი შესაძლო შემწეობა აღმოჩინა სკოლებისთვის ვახსნა ისინი ყველა ეკლესიასთან, ყოველ მონასტერში და ეზრუნვა მათ წარმატებაზედ. აი ამითი ახსანება ის ყველასგან ცნობილი მოვლინება, რომ წარსული საუკუნის დამღვეს სკოლები იყვნენ დაარსებულნი არა მხოლოდ ეპისკოპოსთა საკათედრო უბაქალაქებში, რომელთა რიცხვი წარსულს საუკუნის დამღვეს მთელს საქართველოში აღიოდა ორმოცამდეს, არა მარტო მრავალ მონასტრებში, რომელთა რიცხვი ორმოც-და-ათს ვადმეტებოდა, არამედ ყოველ თვალ-

საჩინო ეკლესიებთანაც კი. თვის კვალობაზედ მღვდლის მსახურებიც ვალდებულნი იყვნენ, განმარტებული ჰქონოდათ შინაური სკოლები მოზარდ ქალებში წერა-კითხვის გასავრცელებლად.


სამოქალაქო მთავრობაც დიდ ყურადღებას აქცევდა ამ სკოლების განმრავლებას და ერთგულად ზრუნავდა მათ წარმატებაზედ. თვით მეფე ხშირ-ხშირად დახედავდა ხოლმე ამ სკოლებს, სცდიდა მოსწავლეთ და თავის ხელით ასაჩუქრებდა უკეთეს მათგანთ.

შველა ამის შემდეგ თამამად შეგვიძლიან დავერწმუნოთ იმ მომსწრე პირთ, რომელნიც ამბობენ, რომ ამ საუკუნის დამღვეს გლენ-კაცების კარგა დიდმა ნაწილმაუც კი იცოდა წერა-კითხვა; ქალებში კი, რომელნიც წიგნის ცოდნის სიყვარულით მუდამ ვამოჩენილნი იყვნენ, წერა-კითხვის უმცოდინაროს ძნელად შეხედებოდა კაცი. ამ ვარის წიგნის ცოდნის ვავრცელებით ახსნება ის შესანიშნავი მოვლენა, რომ გლენ-კაცებიც ისეთივე წმინდა, ვანვითარებული ქართული ენით ლაპარაკობდნენ და ახლაც ლაპარაკობენ, რომელიც იხმარებოდა და იხმარება მალალ წოდებათა შორის. ამითივე ახსნება ისიც, რომ ზოგიერთ ვამოჩინებული პოეტების და მწერლების თხზულებანი ხალხმა ზვირათ იცოდა და არა უკანასკნელი ალაგი ქალის მზითვის სიაში ეჭირათ ხოლმე ამ თხზულებათ, მომეტებულად ქართველთა სასიქედლო თხზულებას „მეფის ტყაოსანს“.

რა მიზეზებმა შეაფერხეს ასე საშინლად სწავლა-განათლების საქმე ერთ მორწმუნე ერის შორის, რომლის დაცვა და წარმატებითი არსებობა პირ და პირ დაკავშირებულია სახელმწიფო ინტერესებთან, საზოგადო სიკეთესთან? როგორ მოხდა, რომ ერთ დროს ვანვითარებული ხალხი, რომელიც თავის ვანათლებით ამ საუკუნის დამღვეს ძვეკასიის ყველა ხალხებზედ მალლა იდგა, თუმცა კი დაუსრულებელი ბრძოლა უთვალავ მტრებთან ერთ წამსაც არ ასვენებდა, დღეს, ოთხმოცი წლის მშვიდობიანობის შემდეგ, სწავლა-განათლებაში ჩამორჩა უკან ძვეკასიის ველურ ხალხებსაც კი? რომელ დამაბრკოლებელ ვარემობათა წყალობით დარჩა უკან ეს ყოველად ნიჭიერი, ცოცხალი, სწავლა-განათლების მეძიებელი ერი.

შველა ამის მიზეზებათ სხვა არაფერი არ შეიძლება ჩაითვალოს, გარდა იმ უკვალავ დამაბრკოლებელ ვანკარგულებათა, რომელთაგანაც ამენებულია ვაუვალი ჩინური კვილი, რომელიც ქართველობას უშლის თავისი წყურვილი სწავლისა დაკმაყოფილოს, ჩვენ ვანბობთ „ქართველობას“ იმიტომა რომ ვეკასიურ სხვა ხალხებს ამ დამბრკოლებათა თავიდან აცდენი შეეძლება აქეთ მიცემული, ქართველი ხალხი კი მოკლებული ამ შეძლებას.

საქმე ის ვახლავთ, რომ სომეხებს, თათრებს და მთიულებს აქეთ სრული



ნება პირველ-დაწყებით სკოლები თავისუფლად გახსნან და თავის ნება-ზედვე მოაწყონ ისინი და გამართონ, ეს უფლება მოხსენებულ ხალხების საკუთრებათ ითვლება და არავის არ შეუძლიან ჩაუბრუნონ მასში თავისი ბრძკვალები, რადგანაც მათი სამღვდლოება, სასულიერო წოდება დამოუკიდებელია და არავის არ ექვემდებარება თავის მოქმედებაში. მსთქვათ სოფლის საზოგადოებამ, ანუ რომელიმე პირმა მოინდომა სომხური, თათრული, ანუ მთიური სკოლის გახსნა; ეს ადვილობრივი სასულიერო პირის სახელით და ეკლესიური სკოლის წოდებით ხსნის მას და შემდეგ მხოლოდ საცნობლოდ ატყობინებს სკოლის გახსნას ადმინისტრაციას..

სკოლის მომართვა და მისი კურსის სიგრძე არის დამოკიდებული სკოლის შეძლება და მის დამარსებელთა ნება-ყოფლობაზედ. თუ სკოლას იმდენი შეძლება აქვს, რომ რუსული ენის მცოდნე მასწავლებელი დაიჭიროს, მაშინ სკოლაში რუსულ ენასაც ასწავლიან; თუ სკოლის დამარსებელ ხალხს ხელმოკლეობის გამო არა აქვთ ეს შეძლება, თუ არცა სურთ თავისი შვილების დიდხანს დატოვება სკოლაში, მაშინ რუსული ენა გამოკლებული იქნება ხოლმე სკოლის კურსიდან და საქმე მხოლოდ სამშობლო წერა-კითხვით და პირველ-დაწყებით სწავლის გარდაცემით თავდება. ძველად საზოგადოებრივი მხარეების ანგარიში გვაჩვენებს, რომ ამ უკანასკნელ გვარ სკოლების რიცხვი, რომელთაც რუსული ენა სრულიად გამოკლებული აქვთ თავის კურსიდან, კავკასიურ ხალხებში (ქართველების გარდა), არის ორი ათას ორას შვიდი (2,207); რუსული ენის მასწავლებელი სკოლები კი სულ ითვლება ას ორმოცდაერთი. ში სადამდის მიდის თავისუფლება სომეხთა, თათართა და მთიულთა შესახებ სკოლების გახსნისა და რუსული ენის სწავლებისა!

სრულიად სხვა გვარ წესსა ვხვდებით შესახებ მართლმადიდებელი ქართველი ხალხისა. არც ერთი ქართული სკოლა, რაც უნდა პაწაწინტელა იყოს, არ შეიძლება გაიხსნას, თუ ამას არ წაუშეძვანთ წინ გრძელი ფორმალური მიწერ-მოწერა მთავრობასთან და თუ ამხედ არ იქნა მღვდელი უკანასკნელის ნება-რთვა, რომლის მიღებას დროზედ ძალიან იშვიათათ ეღირსებით. არც ერთი სკოლაში სწავლა არ შეიძლება მომართოს სხვა ნაირად, თუ არა დადგენილს პლანზედ, თუ არ ადმინისტრაციისგან დამტკიცებულ პროგრამებით. რუსული ენა სულ დაბალ ელემენტალურ ქართველ სკოლებშიაც სავალდებულო საგნათ ითვლება და უსათუოდ პირველი წლიდანვე უნდა იწყონ მისი შესწავლა; თუ ასე არა, სკოლას უსათუოდ ანდერძის აგება და დამარხვა ელის...

მა გარემოება ქართულ სოფლებს სრულიად უხეობს სკოლების გახსნის

შეძლებას, რადგანაც, ცოტაოდენი დიდი სოფლების გარდა, მათ ხელმოკლეობის გამო არ შეუძლიანთ რუსული ენის კარგად მცოდნე პირი დაიჭირონ მასწავლებლათ, რადგანაც ძველად რუსულ ენაში განვითარებული პირი სოფლად არ წავა სამოც თუმანზედ ნაკლებ და სამოცი თუმანს ძლიერ ქართული ღარიბი სოფლისთვის სრულიად შეუძლებელი საქმეა...

მარდა ამისა, რომ სასოფლო სკოლამ დაახლოვდეს თავისი შეგირდები სამშობლო წერა-კითხვაში, გარდასცეს გონების განმავითარებელი საქმარისი ცოდნა და ბოლოს რუსული ენაც მეტ-ნაკლებათ შეათვისებინოს, საჭიროა ამისათვის, სულ ცოტა რომ ესთქვათ ოთხი წელიწადი მინც... ამ გვარი სიგრძე სკოლის კურსისა ძრიელ სამძიმა ქართული სოფლების უმეტესობისთვის. ამ ნაირად ქართული სოფლების უმეტესობა სრულიად მოკლებულია პირველ დაწყებით სკოლების გახსნის შეძლებასა: რუსული ენის მცოდნე მასწავლებლის დაქვრამას, თავისი სიღარიბის გამო არ შეუძლიან, როგორც ეთქვით სამშობლო წერა-კითხვის გამავრცელებელი სკოლების გახსნა კი შესაძლოა ყველა ძველად სხვა ხალხებისთვის, მაგრამ მართლ-მადიდებელი ქართველები კი ამ უფლებას მოკლებულნი არიან.

ამ მალალ მნიშვნელობიან საქმეში დიდი სამსახურის გაწევა შეეძლო საქართველოსთვის მის სასულიეროს წოდებას, საპრობოდო სკოლების გახსნით სხვა ხალხების სასულიეროს წოდების მზგავსად; მაგრამ საუბედუროთ ამ წოდებას სრულიად სისტემურად ამხინჯებენ აფუტებენ სხოლასტიურ ბერძნულ-ლათინურ-რუსულ სემინარიასში, სადაც არა თუ არც ერთი საგანი არ ისწავლებს ქართულს ენაზედ, არამედ თვით ამ ენის კათედრაც სრულიად არ არსებობს; ეს წოდება მოკლებულია თვით მდგომარეობის ჩრდილოასაც კი და დაჩვეულია მონურს მორჩილებას, უთაურობას ბიუროკრატიული მართვით, რომელიც მტრულად უყურებს სწავლის და მეცნიერების უშუქის მოფენასა.

აი მიზეზი, რომლის გამოც ქართული სასულიეროს წოდება თავის საზოგადო სამსახურს ხედავს მხოლოდ უბრალო და წვრილ მღვდელ-მოქმედების აღსრულებაში; რის გამოც ის არის ისე დაცემული, დაჩაგრული და მიწასთან გასწორებული, რომ სრულიად ხელი აიღო ქადაგებისაგან და მას არა აქვს დღეს არც ერთი საეკლესიო სკოლა.

შეხედვით ხლა სომხის სასულიეროს წოდებასაც, რომელიც მზადდება თავის ნაციონალურ სემინარიებში, რომლებშიაც საფუძვლიანათ ასწავლიან თავისი ხალხის საერო და საეკლესიო ისტორიას, ლიტერატურას და სადაც თითქმის ყველა საგნებს მოწაფეები ისმენენ თავის დედა-ენა-

ზედ, რომელზედაც შემდეგში უნდა უქადაგონ თავის ერსა. ნამდვილ ხალხურ და ქრისტიანულ თვის მოქმედებით ის დიდ ღვაწლსა სდებს თავის ხალხის ბედნიერ მომავალს: დღეს მას აქვს დაარსებული დიდ-ძალი სკოლები, რომელთა რიცხვი ნაციონალური ქათრლიკოზის წაქვებით, დღითიდღე უფრო და უფრო მატულობს...

ძართველთ შუა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, რაწამ დაარსდა, მაშინვე ჯეროვანი ყურადღება მიაქცია განათლების ამ გვარ სამწესარო მდგომარეობას საქართველოში და მაშინათვე თავისი მიმართულების წევრი გაგზავნა-გამოგზავნა, — ამით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში უნდა აღეძრათ სოფლებში სკოლების მალე გახსნის სურვილი და დაედგინებინათ ამის შესახებ ჯეროვანი გარდაწყვეტილებანი; . . . . . ბოლოს, ზოგიერთმა სოფლის საზოგადოებამ, თვით თავის მიხედვით და თაონობით, დაადგინეს გარდაწყვეტილებანი სკოლების გახსნის შესახებ და სთხოვეს საზოგადოების მმართველობას — ეს გარდაწყვეტილებანი დაემტკიცებინა მას ადმინისტრაციისათვის... მმართველობამ ეს გარდაწყვეტილებანი თვისის თხოვნით წლი-ახევრის წინ წარუდგინა ობილისის გუბერნატორს; მაგრამ აქამდის არ დამტკიცებულან და ეღირსებათ, თუ არა ოდესმე დამტკიცება, ერთმან ღმერთმა უწყის.

„დროების“ კორესპონდენცია

ოზურგეთი, 21 მარტს. მოგესხებებათ, რომ ჩვენში წინეთ სახელგანთქმული ვაქცაობა და პატიოსნება სუფივდა. არც ვექსილი, არც პირობა და არც სხვა რაიმე ამგვარები არ იყო საჭირო ერთმანეთში; მაგრამ ახლა, სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო, ეს ჩვენი გინთქმული ძველთაგან პატიოსნებით ცხოვრება თანდათან ჰქრება ჩვენ თვალ წინ. აღრე ბურიაში გული რომ მოუვიდოდა ვისმეს, საქვეყნოთ ვაქცაურად თუ წაიხსუბებოდნენ ერთმანეთში, თორემ მალულად არაფერი უყვართ.

ბურულეებისათვის წინეთ ქურდობა დიდს სირცხვილს მოასწავებდა; მხოლოდ ჩვენი მეზობლები ძველი ქართველი ქობულეთლები გვაწუხებდნენ ხან თავზე დასხმით, ხან ქურდობით და ხან ცარცვით.

ბურულეებს ძრიელ გაგვიხარდა ბათუმის შემოერთება, მით უმეტეს, რომ გვეგონა კაცის-კვლა, ცარცვა და ყოველ გვარი ავკაცობა გაქრებო, მაგრამ საუბედუროთ იმედი ვერ აგესრულდა. ომიანობის გათავების შემდეგ აქ ქობულეთლებმა იქონიეს კავშირი უმფრო ცულ საზოგადოების მანვე გაიძვრა კაცებთან, შეადგინეს ცალ-ცალკე პარტიები, დაიწყეს ცულკაცობა და უკანასკნელ იმ ზომამდე გამრავლდა ეს ქვეყნის მანველი

უბედურება, რომ თითქმის ყოველ დღე კაცის-კვლა, ქურდობა და სხვ ხდებოდა.

პოლიციამ ვერა-რა გააჩინა, სასამართლოში დამნაშავეები მოწმებს შოულობდნენ და თავის ითავისუფლებდნენ სასჯელისაგან. მართის სიტყვით, უკანასკნელს ზომამდე ვიყავით შევიწროებულნი. მაგრამ წასრული წლის ოქტომბერში ადმინისტრაციამ შემდეგი საშუალება იხმარა: გამოგზავნა მესამე ქვეითის ბურისის დრუჟინის სოტნა, რადგინე ხანს ოზურგეთში დააყენა, შემდეგ სოფლებში გაგზავნა და ცულ-კაცების ხელის მომმართველ ოჯახებში ჩააყენა, შეავიწროვეს სოფლები, განსაკუთრებით სადაც ყაჩაღები (ფირალი) იყვნენ და ამ საშუალებით რაოდენიმე ტყეში გავარდნილი კაცები შემოგვირგინდნენ და დანარჩენიც, როგორც სჩანს, რომ არ მოვედნენ, გზა არა აქვთ. პოლიციამ, ამ სოტნის საშუალებით, იმისთანა მკაცრი განკარგულება მოახდინა მრთელს უეზღში, რომ ეს ოთხი თვეა არა ვითარი შესანიშნავი უბედურება ჩვენში არ მომხდარა. ამის შემდეგ სრული იმედია, რომ მომავალში უკეთ წავა საქმე.

ოზურგეთის უეზღში ყოველგან მოკენჭული სასოფლო გზებიც კეთდება. ამ კეთილს საქმეს მრთელი აზნაურობა და სამღვდლოება თანაუგრძნობს და შესაძლო შემწეობასაც აძლევს.

ი. ნაცხაძე.

წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! პატივცემულ თქვენი გახეთის „დროების“ მე-61 №-ში არის დაბეჭდილი ოზურგეთიდან ილუმენი ბერასიმე ღარიბაშვიან წერილი, რომელშიაც სხვათა შორის ავტორი ამბობს, რომ მისვლიათ წინადადება პინტრიშის ნაჩალიკისაგან, რომ „სახლ შექაჯრთუჟულ ძველ ქადაგებუბათვის ეკკლესიის სქესება ძრეულ საჭიროება აჩისა“ და რაიმე საშუალება აღმოაჩინეთო.

მუ მართალია ბ. პინტრიშის მახრის უფროსის ამნაირი მოწერილობა, ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ ეს რა ნაირი წინ-დაუხედაობაა, ერთის და მეორეს მხრითაც.

რასა ჰგავს, თქვენი ჰირიმე, იმ ნაირ ხალხში ამისთანა აზრის შეტანა, რომ ეკკლესიის აღმენება ძრიელ საქიროება არისო აქაურ ქართველ მაჰმადიანებისათვის, და მერე იმისიც საქვეყნოთ გამოაშქარება!

ქობულეთში ახალ-შემოერთებულ ქართველებისათვის ეკკლესიის აღმენებას ცდილობენ; იმას რაღა ექვი უნდა, რომ ეს ამბავი ჩვენზე აღრე ქობულეთლებში გავრცელდებოდა, და რას იტყვადნენ, გვეკითხავთ, იმისთანა ფანატიკი ხალხი?

იმას რომ — ძიავ, ჩვენი გაქართველება უნდათ და რაღაი დავრჩეთ!



(მაქართველებს ისინი გაქრისტიანებას ეძახიან).

ახლა იმასაც ვიკითხავ—რანაირ შთაბეჭდილებას და ზედ-მოქმედებას იქონიებდა ეს ამბავი ხალხზე? იმის მეტს არაფერს, რომ სხვა მიზეზებს დაურთობენ ამ ნაირ მათთვის მძიმე საქმესაც და გადასახლებაზე თუ არა სხვა არაფერზე იფიქრებენ.

ბატონებო, თუ ვერ იცნობთ ხალხს და არ იცით მათი გულის-მოგების საშუალება, მაინც ჩამოდექით და სხვებს დაუთმეთ გზა.

ზოგიერთ ბათუმის მხრის აღმინსტრატორებს ხალხის თშვალში ლილა აქვთ გაცვეთილი და რაც უნდა უქადაგონ, ხალხი ამათ არ უჯერის.

მხლა, ჩემის აზრით, სულ სხვა გზაა ბათუმის მხრისათვის საჭირო, სულ ახალი გზა, ესე იგი სწავლავანათლების შეტანა ხალხში და ამითი გაცნობა ყოველივე მტკიცე ქრისტიანობისა. და არა ის გზა, რომ თათრის გაქრისტიანებას ეცადოთ.

ჩვენ გვესმის და გვჯერა ის დრო, ის ხალხი და ის ხალხის მოძღვრება, როდესაც ისინი მართალა ქრისტიანობით ხალხის ბედნიერებისათვის ზრუნავენ და ყველას კეთილ მაგალითებს აძლევენ.

მართალია ისიც, რომ ამნაირ წინადადებაზე იმითი იმართლებენ თავს ზოგიერთები, რომ „მოძღვრის ნათქვამი გაიგონეთ და ჩადენილ საქმეს ნუ მიხედეთო.“ მაგრამ იმთ ამნაირი სიტყვები ვერ გაამართლებს, ისინი სულ სხვა როლს თამაშობენ ხალხში და სხვა სწავლავანათლებით მიუბღვიან ერს წინ, ამ ნაირი სიტყვები ახლა, თქვენ კი არა სხვებსაც ვეღარ გაამართლებს, რომ სთქვენ: „თქვენ ჩვენ ნაწერებს უგდე ყური, ჩვენ ყოფა-ქცევასთან და საქმებთან ხელი არა გაქვსთა!“

უკანასკნელათ ვიურეებთ, რომ განთავისუფლებული ვიყოთ როგორც ამათთანა ხალხისაგან, ისე იმისთანა მწერლებისაგან, როგორც ერთი იმთაგანი გახლდა „ინგილო ეფენდისთან“ მოსაუბრე წიგნის ავტორი.

ჭანსასა.

თბილისი 22 მარტს.

### განცხადებანი

იჯარით იაგული

სოფ. ქარელში გორის უეზდში) რკინის გზის მახლობლად გაცივებ იჯარით თ. იასონ დავითის-ძის ციციანოვის მამული. სახნავ-სათესი ადგილები, სათივე, ტყე (ერთი ძე-ოც-და-თორმეტე ნაწილი საცხინო ტყისა), აგრეთვე სახლი

### სოფ. ქარელში ეთველის თვის მოწუბობილობით.

დაწერილებითი შირობების შეტეობა მსურველს შეუძლიან სოფ. ქარელში თ. იასონ დ. ციციანოვისაგან. (6—1)

მიუხედავად იმისა, რომ ზაფხუ მთავრდება, საქონელი გაიყიდება ისევე იმ ფასად, როგორც წინათ იყო: კანგა-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინისგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.; მშენიერი კასისუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრეულ კარგი ჩაი 2 მ. გირვანჭა უქალაღლოთ.

ინგლისური რეკლავურები 4 მ.—40 მანეთადის და თოფები 20—200 მანეთადის. ინგლისის მალაზიაში. სააგენტო ბანსის უნაგურების გასასვლელათ, ჯონსის კლიტებისა, შოკოლადისა და კასტრატისა ვაკაო ჭრისა, რომელთაც დაიმსახურეს ზარდას მსოფლიო გამოფენაზედ ლქროს მედალი. გირვანჭა არმატიული ჩაისა ღამაზი ჩაისივით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდის ბლამთ ინგლისის მალაზიაში. მთელი კასტრები 15 მ. ხველების კასტრები 60 კ. ერთი გირვანჭა. 100—40

ლონდონის მალაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაანსებულია ნამდვილი ჩაის-გასასვლელათ შირველი შოკრევილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მანეთებ: თოფებისა, რეკლავურებისა, კლიტებისა, ტურტლებებისა, კანგატებისა, დანებისა, კოვებისა, ჩაისივებისა, შოკოლადისა, ვაკასისა, დუქებისა, სახინისა, შოკო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კანანდაშებისა, კადმებისა, უნაგურებისა, სუკრისისა (გემრიელი ვაჭრებისა) და სხვ. სააგენტო მანკიტრის მასხურავებს გასასვლელად კანგატების და ბატკონის და კამე. მურაბისა, აგრეთვე ჩუქებისა და წინდებისა ნოტისგამადამ. ნამდვილი ქაჯანს იგარები. (100—41)

### ლონდონის მალაზია

მრეწის მოედანზე № 2, კომერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა პიანტის და ჩინეთის პირველი მოწვეის ჩაის გასაყიდველად და ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რეკლავურებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფილდოსი) კრავტების, დანა-ჩანგლების, სჩაიე, ჭიკების, შოკოლადსა, კაკოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებლის. სააონის, ცხვირ-სახოცების, შოკოქ წინდების, ჩუქების, კარანდაშების. რკინის კალმების და სხვ... (100—44)

### დასაქმვა ვასაბით:

საქმითრო ვალტრები 12 მანეთადამ; ჭყჭაიკები 2 მან. 50 კ.; ქუდები 1

მანეთადამ, ფილდოსები 5 კანკიკადამ; თუფები 12 კან. თითო; ინდუსის ბრინჯი 10 კ. გირვ.; ინგლისური კამეტები 40 კანკიკადამ, და ჩაი, რომელიც ვეკლან 2 მ. 50 კ. ღირს, ისევე 1 მან. 80 კ.

ინგლისის მალაზიაში, არწრუნის გალავრეისში. (20—10).

ველაზედ უფრო ბევრი საქონელი კავკასიის აქეთა მხარეში ინგლისის მალაზიაში, არწრუნის გალავრეისში: ღირს სახასხავად.

ისაქმება სასამთრო მოსახურავები, ტანისმოსები, მაუდები, ტრიკო, თუფები და მურაბები. 500,000 კლიტები, ფილდოსები და კადმები 30% უფრო იათადა ვიდრე სადმე სხვაგან. 20—20

### ინკლისის მალაზიაში

თისანი  
საგანი  
მანკან-ტერი

ამაგრებს თმს და ადრინდელ ფერს ამღებს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაზავებით 2 მანეთი და 28 კან.

აქვე ისევედება ქინის ზომდა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკავილის მოსახზობლად, რუბლტის საშანი, დუხები და სხვ. (150—47)

### ქუთაისში

„ივ. ნიკოლაძე და შვილების“ მოდის მალაზიაში მიღებულია სხვა და სხვა ნაირი საქონელი საღმრთადად რომელიც 25° ნაკლებ იყიდება ვიდრე სხვა მალაზიაში. იქვე იყიდება ქორფლის წამალი და გამამშვენიერებელი ლეკანდს. (10—5).

### პარიკმახმის არსენს ქუთაისში

### კოსმეტიურს

მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

ეს-ეს არის მოუკიდა ზარდავად მრავალი გამამშვენიერებელი ნივთიულობა: სხვათა შორის სხვა და სხვა ნაირი საღმრთად მოგონილი თმის საღებავი: „ოდენიტიკრ“, „ოდალენს“ და „ოდანგლე“. მშენიერი წამლები ზირზედ დაუდილის; სხვათა შორის ერთი სასუქად „უებარი“, მალან სელ-მისაცამ ფასად. ვიქლოვებს, მატეცემული სასოკადობა ხვენი მალაზიის მადლიერი იქნეს. (10—8)

### ღვინის სასდელი მძინები

ინკინკო - მეხანგეზუ ბარბო ტუქონ-სპარის სისტამისა, რომელიც უკვე ათი წელიწადია, რაც ჩინებულად მუშაობს ექვს ჩვენის მხრის ზაოლდებზე, მზადდება თფილისში, მარანკოვის წყლის-პირა ქუჩაზე, № 16 მეხანიკურ სახელოსნოში.

დაწერილებული ცნობის შეტეობა ფასებზე და სხვა შეიძლება იქვე ქარლ ნიიანთან. (11—6)

### საქმავშილო წიგნი „წყარო“

ანთ. ჯუღელის რედაქციით გამოცემული, გამოვიდა და დარიგდა გასაყიდლოთ ჩარკვიანის, ბრიტუროვის და მართანოვის წიგნის მალაზიაში.

მალაქ გარეთ იყიდება: ბორში მარ. აგრესელიძესთან, ქუთაისში ბერარდის წიგნის მალაზიაში და სხვა პატარა ქალაქებში ყველა იმ პირთან, ვინც კი ქართული წიგნებით ეაქრობს.

უასი ხუთი შაური. მც ეგზემულიარზე მეტს ვინც დაიბარებს, იმას აბაზათ დაეთმობა ეგზემულიარი.

მეორე № „წყაროსი“ გამოვა სააღდგომოთ. (3—3)

ხველის კამფეთები 40 კანკიკადამ გირვანქა; ქინაქინის ღვინო ცივი-სათვის—10 მან. 50 კან. ბოთლი, სპარსული შარბათი და ციტრატ-მაგნეზია თითო ბოთლი—70 კან., საუკეთესო კონიაკი—2 მან. და ძველი პორტ-ღვინი და ხერესი 1 მან. 40 კ. შიდა სანთლები და მშრალი საპონი ინგლისის მალაზიაში. (20—11)

### ბავრი ქარობები

შოდოსები, კლიტები, კალმები, ქალადები, თოფები, რეკლავურები, სტაქნები, ციტრატ-მაგნეზია, კანფეტები, მურაბები და სხვ. ისევედება ინგლისის მალაზიაში.

იქვე: პალტო 12 მან — დამ, შარველები 4 მან — დამ, ტრიკო 70 კ. ალაბი, თფემები 12 კ. ერთი, პიანტის ჩაი პირ-და-პირ მოსაელის ადგილიდამ მიღებული 1 მან. 5 კ.—2 მან. (უმშვენიერესი) გირვ. უქალაღლოთ. მითი ვაგონი მურაბები 85 კ. (20—11)

### დიდ-კალ სამონლის დასაქმვა

თებრიკის ფასებით, ინგლისის მალაზიაში, არწრუნის გალავრეისში.

იქვე ისევედება: წყლის-საწურავი მაშინები, დოგვი, სახამბეღელი, კაკო, შოკოლადი, სტაქნები და სახის დასამშვენიერებლად რძის, ნუშის და გლიცერინის საპონი; ახალ სისტემის თოფები. (10—6)